

რეგისტრირებულია  
აფხაზეთის იუსტიციის  
დეპარტამენტში  
სარეგისტრაციო კოდი  
01024001032040000006

**აფხაზეთის მთავრობის  
დადგენილება N6  
2007 წლის 16 თებერვალი, ქ. თბილისი**

**აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის მთავრობის  
წარმომადგენლობის დებულების დამტკიცების შესახებ**

აფხაზეთის მთავრობის „სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის“ შესახებ აფხაზეთის კანონის მე-14 მუხლის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობის თანდართული დებულება.
2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მთავრობის თავმჯდომარე

*მ. აკიშაია*

**აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობის დებულება**

აღნიშნული დებულება განსაზღვრავს აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობის უფლებამოსილებას, სტრუქტურასა და მუშაობის ორგანიზაციას; აწესრიგებს წარმომადგენლობის ურთიერთობას ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებთან, დარგობრივ სამსახურებთან, სხვა საწარმოებთან და დაწესებულებებთან.

**მუხლი 1. ზოგადი დებულებები (აფხ. საკ. მაცნე N2, 8.02.2010. მუხლი 5)**

1. აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობა (შემდგომში – წარმომადგენლობა) წარმოადგენს აღმოსავლეთ საქართველოში განსახლებული აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის ინტერესების დამცველ დაწესებულებას.
2. წარმომადგენლობის მართვას, წარმომადგენლობის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტიანობისა და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას აფხაზეთის მთავრობა ახორციელებს რეგიონული მართვის საკითხებში აფხაზეთის მინისტრის აპარატის მეშვეობით.
3. წარმომადგენლობა თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების და ამ დებულების შესაბამისად.
4. წარმომადგენლობის ხელმძღვანელი დებულებას დასამტკიცებლად წარუგენს აფხაზეთის მთავრობას რეგიონული მართვის საკითხებში აფხაზეთის მინისტრის თანხმობით.

5. წარმომადგენლობის სამტატო განრიგსა და სახელფასო ფონდს განსაზღვრავს წარმომადგენლობის ხელმძღვანელი რეგიონული მართვის საკითხებში აფხაზეთის მინისტრთან შეთანხმებით.

6. წარმომადგენლობას აქვს დამოუკიდებელი ბალანსი და სათანადო ანგარიშსწორების ანგარიში ბანკში, ბეჭედი საქართველოს სახელმწიფო გერბის გამოსახულებითა და თავისი სახელწოდების აღნიშვნით.

7. წარმომადგენლობის დროებითი იურიდიული მისამართია ქ. თბილისი, ხეთაგუროვის N2.

## **მუხლი 2. წარმომადგენლობის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები**

საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით და ამ დებულებით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში წარმომადგენლობის ძირითადი მიმართულებებია:

ა) საქართველოსა და აფხაზეთის კანონებისა და სხვა აქტების, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებებისა და განკარგულებების, აფხაზეთის მთავრობის სამართლებრივი აქტების, სამთავრობო დაწესებულებებისა და წარმომადგენლობის აქტების შესრულების უზრუნველყოფა;

ბ) თანამშრომლობა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების საკითხებში, მონაწილეობის მიღება შესაბამისი პროექტების შემუშავებაში;

გ) უფლებამოსილების ფარგლებში აღმოსავლეთ საქართველოში მცხოვრები დევნილი მოსახლეობის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის კონტროლი და კოორდინაცია.

დ) წარმომადგენლობის ბიუჯეტისა და სოციალური პროგრამების შედგენა, წარმომადგენლობის საკუთრების აღრიცხვა, ფლობა, სარგებლობა და განკარგვა;

ე) მოსახლეობის სოციალური დაცვა და დასაქმების ხელშეწყობა, შესაბამის სამინისტროებთან ერთად განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურისა და სპორტის საკითხების გადაწყვეტაში მონაწილეობა;

ვ) მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანა და სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევა; თანამშრომლობა შესაბამის ორგანოებთან სამობილიზაციო სამუშაოთა შესასრულებლად;

ზ) საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსათვის ხელშეწყობა დევნილი მოსახლეობის დროებით მისამართზე რეგისტრაციაში, თანამშრომლობა და დახმარების აღმოჩენა დევნილის სტატუსის საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებაში; საქართველოს პრეზიდენტის N24 ბრძანებულებით გათვალისწინებული პროგრამის „ჩემი სახლი“ განხორციელებისათვის სათანადო პირობების შექმნა.

თ) მოქალაქეთა პირადობის დადასტურება და და შესაბამისი კომისიის მიერ სათანადო დასკვნის გაცემა.

ი) აღმოსავლეთ საქართველოში მცხოვრები აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის, რეზერვისტების და სოციალურად დაუცველი ფენის (მარტოხელები, ობოლი ბავშვები, ომის ინვალიდები, მრავალშვილიანები, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების წევრები, დიდი სამამულო ომის ვეტერანები, უზუცესი თანამოქალაქეები) შესახებ ერთიანი მონაცემთა ბაზის შექმნა და პერიოდული განახლება.

კ) საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილების განხორციელება.

### **მუხლი 3. წარმომადგენლობის ეკონომიკურ-ფინანსური უზრუნველყოფა**

წარმომადგენლობის ქონებას შეადგენს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით გაცემული ქონება, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკის, რესპუბლიკური ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებებით შეძენილი ქონება.

წარმომადგენლობის ფინანსურ რესურსებს წარმოადგენს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო ასიგნება, აგრეთვე, კანონმდებლობით დადგენილი სხვა ფინანსები.

### **მუხლი 4. წარმომადგენლობის ხელმძღვანელობა**

1. წარმომადგენლობის ხელმძღვანელს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე რეგიონული მართვის საკითხებში აფხაზეთის მინისტრის წარდგინებით. (აფხ. საკ. მაცნე N2, 8.02.2010. მუხლი 5)

2. წარმომადგენლობის ხელმძღვანელი თავისი საქმიანობით ანგარიშვალდებულია აფხაზეთის მთავრობის, მთავრობის თავმჯდომარისა და რეგიონული მართვის საკითხებში აფხაზეთის მინისტრის წინაშე. (აფხ. საკ. მაცნე N2, 8.02.2010. მუხლი 5)

3. წარმომადგენლობის ხელმძღვანელი:

ა) ხელმძღვანელობს და აკონტროლებს სამხედრო მომზადების ორგანიზაციისათვის გასატარებელ ღონისძიებებს;

ბ) „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს წარმომადგენლობის სტრუქტურულ ერთეულთა ხელმძღვანელებსა და თანამშრომლებს; აფორმებს ხელშეკრულებებს მოწვეულ სპეციალისტებთან და ექსპერტებთან; კომპეტენციის ფარგლებში წარმომადგენლობის სახელით დებს ხელშეკრულებებს სხვადასხვა ორგანიზაციებთან, საწარმოებთან, დაწესებულებებთან.

გ) უფლება აქვს სახელმწიფო და სხვა ორგანოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისაგან, თანამდებობის პირისაგან გამოითხოვოს კანონმდებლობით მასზე დაკისრებული უფლებამოსილებათა განხორციელებისათვის საჭირო ინფორმაცია, დოკუმენტაცია და მასალები;

დ) აკონტროლებს საქართველოსა და აფხაზეთის კონსტიტუციების, კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების შესრულებას;

ე) განიხილავს განცხადებებს, საჩივრებსა და წინადადებებს; აკონტროლებს მათში დასმული საკითხების დროულ გადაწყვეტას;

ვ) კანონმდებლობით და ამ დებულებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება.

4. კანონიერების, თავდაცვისა და ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში წარმომადგენლობის ხელმძღვანელის კომპეტენციას განეკუთვნება:

ა) უფლებამოსილებათა ფარგლებში საქართველოსა და აფხაზეთის კონსტიტუციის, კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების შესრულების კონტროლი;

ბ) მოქალაქეთა წერილების, განცხადებების, საჩივრების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების კოორდინაცია;

გ) მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანისა და სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის კონტროლი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

დ) კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში მობილიზაციის უზრუნველყოფაში ხელშეწყობა.

ე) საქართველოსა და აფხაზეთის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება.

5. წარმომადგენლობის ხელმძღვანელს ჰყავს 3 (სამი) მოადგილე: (აფხ.საკ. მაცნე N17, 27.11.2009, მუხლი 32)

ა) წარმომადგენლობის ხელმძღვანელის მოადგილეები ასრულებენ ხელმძღვანელის მიერ დაკისრებულ შესაბამის უფლებამოსილებებს;

ბ) წარმომადგენლობის ხელმძღვანელის მოადგილეს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს რეგიონული მართვის საკითხებში აფხაზეთის მინისტრი წარმომადგენლობის ხელმძღვანელის წარდგინებით. (აფხ. საკ. მაცნე N2, 8.02.2010. მუხლი 5)

გ) წარმომადგენლობის ხელმძღვანელის ადგილზე არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს ერთ-ერთი მოადგილე.

#### **მუხლი 5. წარმომადგენლობის ხელმძღვანელის სამართლებრივი აქტები.**

1. წარმომადგენლობის ხელმძღვანელის ბრძანება არის ნორმატიული აქტი, რომლის მოძზადების, მიღება-გამოცემისა და ძალაში შესვლის წესი განისაზღვრება „ნორმატიული აქტების შესახებ“ აფხაზეთის კანონით.

2. წარმომადგენლობის ხელმძღვანელი გამოსცემს ასევე ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს ბრძანებას, რომელიც გამოიცემა ნორმატიული აქტის საფუძველზე და ამ აქტით დადგენილ ფარგლებში.

#### **მუხლი 6. წარმომადგენლობის სტრუქტურა** (აფხ. საკ. მაცნე N13, მუხლი 24, 30.09.2009)

წარმომადგენლობის სტრუქტურული ერთეულებია:

ა) წარმომადგენლობის აპარატი;

ა.ა) იურიდიული, კადრებისა და საქმისწარმოების განყოფილება;

ა.ბ) დევენილთა აღრიცხვისა და ანალიტიკური განყოფილება;

ბ) საფინანსო და ბუღალტრული ანგარიშსწორების სამსახური;

გ) წარმომადგენლობის თბილისის რეგიონალური სამსახური;

დ) წარმომადგენლობის რეგიონალური მართვის სამსახური;

ე) სოციალური პროგრამების მართვის სამსახური;

ე.ა) სოციალური პროგრამების მართვის სამსახურის რეგიონული განყოფილება;

ვ) წარმომადგენლობის წვევამდელთა აღრიცხვის გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური;

ვ.ა) წვევამდელთა აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის რეგიონულ საქმეთა

განყოფილება;

ვ.ბ) ამოღებულთა (აფხ.საკ.მაცნე N17, 27.11.2009, მუხლი 32)

#### **მუხლი 7. წარმომადგენლობის აპარატი** (აფხ. საკ. მაცნე N13, მუხლი 24, 30.09.2009)

1. აპარატი ახორციელებს წარმომადგენლობის და მისი დანაყოფების საინფორმაციო და ორგანიზაციულ უზრუნველყოფას.

2. აპარატის საქმიანობას წარმართავს აპარატის უფროსი-წარმომადგენლობის ხელმძღვანელის მოადგილე, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს წარმომადგენლობის ხელმძღვანელი.

3. აპარატი:

ა) ახორციელებს წარმომადგენლობის არსებული მატერიალური ფასეულობების ექსპლუატაციის

ბ) ახორციელებს წარმომადგენლობის იურიდიულ მომსახურებას, ოფიციალური დოკუმენტის სამართლებრივ ექსპერტიზას, წარმომადგენლობის კანონიერი ინტერესების დაცვას სასამართლოში და სხვა იურიდიულ თუ ფიზიკურ პირებთან ურთიერთობისას, წარმომადგენლობის გადაწყვეტილებათა შესაბამისობის კონტროლს მოქმედ კანონმდებლობასთან;

გ) ოფიციალურ კორესპონდენცათა რეგისტრაციას, შესაბამის დანაყოფებში მათ გადაგზავნას, შესაბამისი ოქმების წარმოებასა და მათ შენახვას;

დ) აფხაზეთიდან დევნილ მოსახლეობის სოციალური და დემოგრაფიული ერთიანი მონაცემთა ბაზის ფორმირებასა და მის პერიოდულ განახლებას;

4. აპარატის, კანცელარიისა და აპარატის განყოფილებების უფლებამოსილება, მუშაობის ორგანიზაცია განისაზღვრება ამ დებულებითა და აპარატის დებულებით, რომელსაც აპარატის უფროსის წარდგინებით ამტკიცებს წარმომადგენლობის ხელმძღვანელი.

**მუხლი 7<sup>1</sup> საფინანსო და ბუღალტრული ანგარიშსწორებების სამსახური** (აფხ. საკ. მაცნე N13, მუხლი 24, 30.09.2009)

საფინანსო და ბუღალტრული ანგარიშსწორებების სამსახური, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ახორციელებს წარმომადგენლობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, წარმომადგენლობის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის მართვის სისტემის ფორმირებას, ადგენს ხარჯების პროექტებს ყველა განსახორციელებელი დავალებისა და პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფისათვის. უზრუნველყოფს ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დროულ წარდგენას შესაბამის ზემდგომ და მაკონტროლებელ ორგანოებში.

**მუხლი 7<sup>2</sup> წარმომადგენლობის თბილისის რეგიონალური სამსახური** (აფხ. საკ. მაცნე N13, მუხლი 24, 30.09.2009)

1. თბილისის რეგიონალური სამსახური არის წარმომადგენლობის სტრუქტურული ერთეული, რომელიც კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს თბილისში დროებით მცხოვრები დევნილი მოსახლეობის მომსახურებას.

2. თბილისის რეგიონალური სამსახურის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს წარმომადგენლობის ხელმძღვანელი. სამსახურის უფლებამოსილება განისაზღვრება შესაბამისი დებულებით, რომელსაც ამტკიცებს წარმომადგენლობის ხელმძღვანელი.

### **მუხლი 8. წარმომადგენლობის რეგიონალური მართვის სამსახური**

1. წარმომადგენლობის რეგიონალური მართვის სამსახური არის წარმომადგენლობის კომპეტენციას მიკუთვნებული სფეროების მართვის მიზნით შექმნილი ორგანო, რომელიც ახორციელებს აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონში დროებით მცხოვრები დევნილი მოსახლეობის მომსახურებას.

2. წარმომადგენლობის რეგიონალური მართვის სამსახურის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს წარმომადგენლობის ხელმძღვანელი.

3. წარმომადგენლობის რეგიონალური მართვის სამსახურის უფლებამოსილება განისაზღვრება შესაბამისი დებულებით, რომელსაც ამტკიცებს წარმომადგენლობის ხელმძღვანელი. (აფხ. საკ. მაცნე N13, მუხლი 24, 30.09.2009)

**მუხლი 8<sup>1</sup> სოციალური პროგრამების მართვის სამსახური** (აფხ. საკ. მაცნე N13, მუხლი 24, 30.09.2009)

სოციალური პროგრამების მართვის სამსახური არის წარმომადგენლობის სტრუქტურული ერთეული, რომელიც ახორციელებს აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის სოციალური პრობლემების შესწავლას, შეიმუშავებს წინადადებებსა და ღონისძიებათა გეგმებს, იძულებით გადაადგილებულ პირთა მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ამზადებს და წარმომადგენლობის „აფხაზეთიდან დევნილ სოციალურად დაუცველ კატეგორიებზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების კომისიას“ განსახილველად წარუდგენს მოქალაქეთა განცხადებებს მატერიალური დახმარების გაწევის თაობაზე.

**მუხლი 9. წარმომადგენლობისწვევამდელთა აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური (აფხ. საკ. მაცნე N17, 27.11.2009, მუხლი 32)**

წვევამდელთა აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ახორციელებს წვევამდელთა და რეზერვისტთა აღრიცხვის და სავალდებულო სამხედრო (სარეზერვო) სამსახურში გაწვევასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ღონისძიებებს. სამსახურის შემადგენლობაში შედის წვევამდელთა აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის რეგიონულ საქმეთა განყოფილება.

**მუხლი 10. დასკვნითი დებულებები**

1. აღნიშნულ დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.
2. წარმომადგენლობის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.